



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო კ მ ი N8

ქალაქი ბათუმი

2022 წლის 16 დეკემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- | | |
|-------------------|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
- საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ასლან ბალაძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| თეონა ბერიძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან დოლიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

ნოდარ დუმბაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარაშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა კილაბერია	- საკრებულოს წევრი.
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი ზოიძე	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;

ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	- საკრებულოს წევრი;
კახაბერ ქაშიბაძე	- საკრებულოს წევრი.
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ლევან დავითაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სოფიკო ხალვაში;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - აკაკი ბერიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მარინე რუხაძე;
- შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორი - ალექსანდრე მჭავანაძე;
- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი - ლევან ლაზარიაშვილი;
- ა(ა)იპ „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ უფროსი - თამაზ სალუქვაძე;
- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი - დავით დიასამიძე;
- ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ დირექტორი - ჯონი საბაშვილი;
- ა(ა)იპ - „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ დირექტორი - მამუკა შამილიშვილი;
- ა(ა)იპ - „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ დირექტორი - არჩილ კონცელიძე;

ასავე ესწრებოდნენ:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

-საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

-საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

-საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ. მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული 13 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე, რაზედაც საკრებულოს წევრებს სიტყვა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღისწესრიგი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბერის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 5. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში, I სართულზე მდებარე N1 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15.15211174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N92/94–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ვალერი ალთაბაევის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოძე)

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმში, გორგილაძის ქ. N2–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე პაპულა თალაკვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოძე)

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N#7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაზიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა. გვიანიძე, ვ.დარჩია)

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ ისაუბრა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თაობაზე და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს ამომრჩევლების მხრიდან მიეცა საშუალება ბიუჯეტის დამტკიცების და იმედი გამოთქვა, აღნიშნული პროცედურის კონსტრუქციულ რეჟიმში განხილვის. ასევე განაცხადა, რომ ამ დღეებში დაღუპული გმირების პატივსაცემად დღევანდელი სხდომა დაიწყონ წუთიერი დუმილით.

საკრებულოს წევრებმა პატივისცემის ნიშნად წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულ გმირებს.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის ბოლო სხდომა და მერიის სამსახურებს, საკრებულოს და მერიის აპარატს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის. ასევე, ქალაქს ჰყავს ბევრი ვიზიტორი ტურისტულ სეზონზე და ამისთვის მიიღო ტურისტული ოსკარი. 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას აჟიოტაჟი იყო, თუმცა გუნდის დამსახურებაა, რომ ბიუჯეტი იქნა მიღებული. დამტკიცდა „იაფი სახლის“ პროგრამა, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ჯანმრთელობის, ახალგაზრდული პროგრამები და დღეს კი 2023 წლის ბიუჯეტის განხილვაში ყველა საკრებულოს წევრს უნდა მიეღო მონაწილეობა, რადგან ბიუჯეტის პროექტი მორგებულია ქალაქზე და ქალაქელებზე.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ ისაუბრა ბიუჯეტის მიღების პროცესში ოპოზიციური პარტიიდან კოლეგების დამოკიდებულებაზე, რაც არის ბათუმელებისადმი უპასუხისმგებლო და მავნებლური ქმედება და არანაირი გამართლება არ აქვს. ამიტომ მადლობა შეიძლება გადაუხადოს მათ, რადგან ილუსტრაცია მოახდინეს საკუთარი თავისა და ძალის. ასევე, ისურვებს ნაყოფიერად იმუშაონ ქალაქზე და ქალაქელებზე, რადგან დღეს მიღებული გადაწყვეტილებები წაადგება ქალაქს.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომებს არ ესწრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ბიუჯეტის წარდგენის დღეს იმედი ჰქონდა ქალაქ ბათუმის მერი თავად წარადგენდა, რადგან ერთადერთი არჩეული პირი და, ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით აღმასრულებელი ორგანოა მერი. მერი ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე, თუმცა, როგორც ჩანს ბოიკოტს უცხადებს საკრებულოს სხდომებს. მეორე საკითხია ის, რომ თენგიზ აფხაზავა შემჩნეულია კოლეგების მიმართ დისკრიმინაციაში, რადგან ახალგაზრდა საკრებულოს წევრებს არ მიიჩნევს კვალიფიციურად და კომპეტენტურად, რათა ოპონირება გაუწიოს. მან განაცხადა, რომ მათთან არ უდება დებატებში, რადგან არ არიან კვალიფიკაციით ეკონომისტები და, ასევე, მას არასდროს არ გამოუხატავს სურვილი რომელიმე თემაზე დებატებში მონაწი-

ლეობაზე. ასევე, თენგიზ აფხაზავამ გამოთვალა, რომ ბიუჯეტის პროექტზე ოპოზიციის შენიშვნების ჯამური რაოდენობა იყო 2%, თუმცა მისი კვალიფიკაციისადმი პატივისცემის ნიშნად დაუშვებს, რომ ნამდვილად 2% იყო და, აქედან გამომდინარე, დასვა კითხვა: წარმოდგენილ ბიუჯეტში შენიშვნების 2%-ის გაუთვალისწინების თაობაზე. კერძოდ, მათი შენიშვნები ეხებოდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში ნულოვანი ტარიფის შემოღება, ბაღებში ვაუჩერიზაცია, ახალ უბნებში სოფლის პატარა ბილიკების მოწესრიგება, რომლებიც შეიძლებოდა 2%-ში მოგვარებულიყო. ასევე, ახალგაზრდების უცხო ქვეყნებში დეფიციტურ სპეციალობებზე სწავლა, სასაფლაოს პროექტირება, რომლებიც არ არის ბიუჯეტში ასახული.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ შენიშვნებზე მიღებული აქვთ კომპეტენტური პასუხები.

საკრებულოს წევრი, ზურაბ ნაკაიძე ვერ გაიზიარებს იმ აზრს, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამების 98%-ს ხმას არ აძლევენ და ბოიკოტს უცხადებენ 2%-ს, რადგან მათ მიერ ჩამოთვლილი შენიშვნების ირგვლივ მიმდინარეობს მუშაობა და, ეტაპობრივად, ყველა საკითხი გაწერილი იქნება გადასაწყვეტად.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ძიძიგურმა საკრებულოს წევრებს წარმატება უსურვა და აღნიშნა, რომ დღეს წარმოდგენილი ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს, რომლის გაკონტროლებაზე და შესრულებაზე თვითონ უნდა იზრუნონ. 2023 წლის ბიუჯეტი გაზრდილია, თუმცა ხარისხობრივ ნაწილში ყველა პროგრამა უნდა შესრულდეს. მან იმედი გამოთქვა მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნების ნაწილობრივ გათვალისწინებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღეს მნიშვნელოვანი დღეა, მიიღება 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მერიის თანამშრომლები 24 საათიან მუშაობის რეჟიმში არიან და მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი არ ეთქმის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა და განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარმოადგინა დადგენილების პროექტი, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნა, რომ იზრდება გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022

წლის 6 დეკემბრის N 04-03/110987 წერილი), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში (კონკურსის ფარგლებში) გადმოსაცემი საგრანტო თანხა, იზრდება ტრანსფერის მოცულობა, ასევე განხორციელდა ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი (ტრანსფერის სახეებს შორის) თანხების ნაწილში, დაემატა ახალი ღონისძიებები: ქ. ბათუმში, იუსტიციის სახლის მიმდებარედ უსაფრთხოების კუნძულის მოწყობა 87,840 პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება 529,980, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები - 10 ლოკაცია. ქ. ბათუმში, ყადირ შერვაშიძის აღმართი N26-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები) დაზუსტდა ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც გადატანილ იქნა 02 03 05 ქვეპროგრამაში. ქ. ბათუმში, მდ. მეჯინისწყალზე, ფრიდონ ხალვაშის გამზირისა და მაჭავარიანის ქუჩის კვეთიდან, მ. შარაშიძის და მაჭავარიანის ქუჩების დამაკავშირებელ ხიდამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის პროგრამა. მცირდება ღონისძიების დაფინანსება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაზუსტების გათვალისწინებით, დაემატა ახალი ღონისძიება: გუდიაშვილის N3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ასევე შემცირდა ღონისძიების დაფინანსება - მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება, შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ ვერსიაში საკრებულოში ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის და ასევე საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის სხდომაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 06 01 01) ღონისძიება - შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა შემცირდა 10900 ლარით, რომელიც დამატებით მიიმართა თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ქვეპროგრამაზე (პროგრამული კოდი 06 01 10) ღონისძიების უწყვეტად დაფინანსების მიზნით წარმოგიდგინებ დადგენილების პროექტს აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ დასვა კითხვა ბიუჯეტის პროცენტული შესრულების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტის შესრულება გარკვეულ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ იმ პრაქტიკას, რაც წინა წლების პრაქტიკიდანაა 90-91% იქნება შესრულებული. არის რიგი ფაქტორები, რომლებიც ახსნადია. არაკეთილსინდისიერი კომპანიების მიმართ საჯარიმო სანქციებია გატარებული.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია აძლევს პირობას, რომ

2023 წელს სამწუხაროდ არაკეთილსინდისიერი კომპანიები კიდევ იქნება. რაც შეეხება საკითხებს მნიშვნელოვანი დოკუმენტია და მას უხარია, რომ არჩეულ საკრებულოს დაუდგა ისეთი დღე, როცა ბიუჯეტზე ყველა ერთად იმსჯელებენ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, რომლებიც ბოიკოტის რეჟიმში არიან. ბიუჯეტის გაზრდა კარგია, თუმცა ყოველ ახალ წელს, მომდევნო წელს ბიუჯეტის ზრდა არის ბუნებრივი მოვლენა და ეს არ არის საფუძველი იმისა, რომ უხაროდენ. მან მიმართა მომხსენებელს, წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების თაობაზე.

მომხსენებელმა ბიუჯეტის ზრდის დინამიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზრდის დინამიკა კარგია იმ გარემოებებით, რომ თავად ეკონომიკურ სიტუაციას ასახავს და შედეგთან არის ორიენტირებული. გაზრდილი შემოსავლები მოქალაქეების და დეპუტატების მომართვიანობის მიხედვით იქნება გადანაწილებული, რაც შეეხება შენიშვნებთან დაკავშირებულ მოსაზრებას განმარტა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტის განმარტებით ბარათს თან ახლდა თითოეულ შენიშვნებზე განმარტებები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნაზე იყო კომპეტენტური პასუხი წერილობით გაცემული.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ დასვა კითხვა გენგეგმასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტის ღირებულება 2,5 მილიონ ლარამდეა, ეს დოკუმენტი არ არის გაწერილი ერთ წელზე, მისი პროცედურები, ვადები სტრუქტურულ ორგანიზაციებს გადის, როგორც მუნიციპალიტეტის, ისე სამთავრობო უწყებების.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქგანვითარებისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილმა აღნიშნა, რომ გენგეგმის ჩაბარება ეტაპებადაა გაწერილი, დარჩენილია ქალაქ ბათუმის ხედვა, სიცოცხლისუნარიანობის შეფასება და სტრატეგიები ორი დონისთვის, ახლა წარმოდგენილია ალტერნატივები, ხოლო შემდგომი ეტაპია შეჯერებული ვერსიების წარმოდგენა და დასრულდება 2023 წლის ბოლოს.

საკრებულოს წევრმა ნატალია მიძიგურმა აღნიშნა რეპლიკის სახით, რომ მისდა გასაოცრად ასაკობრივი დისკრიმინაცია აქტიურად მიმდინარეობს, მიუხედავად

ამისა უნდა მოიწვიოთ ახალგაზრდა პოლიტიკოსები. ძალიან მნიშვნელოვანია შემოსავლების გაზრდა, თუმცა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან მიმართებაში სამი საბავშვო ბაღის მშენებლობა შეჩერებულია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკუთარი შემოსავლების კუთხით მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც გულისხმობს სამართლებრივ გადაწყვეტილებაში რიგი საკანონმდებლო ინიციატივის ცვლილებას, რომელიც საკუთარ შემოსავლებს გაზრდის. შემოსავლების გაზრდის საკითხში კონკრეტული ქეისი წარმოდგენილია საკრებულოში და ეს არის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელში ცვლილება, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს დამატებითი შემოსავალი ექნება. საბავშვო ბაღებთან მიმართებაში მიმდინარე წელს გათვალისწინებული იყო სამი ბაღის მშენებლობის დასრულება, მაგრამ მომწოდებელი კომპანიის ცუდად მუშაობის გამო სამუშაოები არ დასრულდა და სამართლებრივად შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულება. დღეს კი 2023 წლის ბიუჯეტში ასახულია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა ლევან დავითაძემ იმედი გამოთქვა, მნიშვნელოვანი დოკუმენტის დადებითად გადაწყვეტა, რომელიც ქალაქს და თანაქალაქელებს წაადგება. ეს არის ბიუჯეტი, რომელიც გასულ წელთან მიმართებაში 30 მილიონი ლარით მეტია, დაახლოებით 285 მილიონი ლარით განისაზღვრება და სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულება, მათ შორის საბავშვო ბაღების მიმართებით, დაიწყება 23 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და რეაბილიტაცია, მათ შორის ექვსი ახალი ბაღი იქნება, რომელიც 1500 აღსაზრდელზეა გათვლილი, პრაქტიკულად გადაწყვეტს იმ პრობლემას, რომელიც არის ე.წ. მოლოდინე ბავშვების რეჟიმი. დამატებით იგეგმება 17 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ასევე KFW-ის ფარგლებში დაახლოებით ექვსი მილიონი ევროს ფარგლებში სარგებელი მიიღება.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ ზოგადად ასეთი მასშტაბის თანხები არ უნდა იხარჯებოდეს სტრატეგიის გარეშე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობს და ბიუჯეტის მიხედვით ხარჯვის უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის საკანონმდებლოს ნორმაა. სტრატეგიის დოკუმენტი არის

დოკუმენტი, რომელსაც სჭირდება განახლება. სტრატეგიის დოკუმენტის გარდა არსებობს პრიორიტეტის დოკუმენტი.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, პრიორიტეტის დოკუმენტში ერთი და იგივე ციფრების გადატანა ხდება ყოველ წელს, რომელიც არის სერიოზული პრობლემა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პრიორიტეტის დოკუმენტში ვერ დაეთანხმება იმ მიმართულებას, რომ უპასუხისმგებლობა ხდება, უბრალოდ ციფრობრივად შეიძლება ასე ჩანს, თუმცა ქალაქის მიმართულებით ძირითადი საგზაო ინფრასტრუქტურა რაც არსებობს ერთიანია. შესაბამისი სამსახური ატარებს მოკვლევას და განსაზღვრავს თუ რა გზებია მუშა მდგომარეობაში და რამდენს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ გამოთქვა უკმაყოფილება მის მიერ წამოყენებულ შენიშვნებზე პასუხის მიუღებლობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნინო ცხვარაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობაში არის ინფორმაციის ნაკლებობა ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ირგვლივ.

მომხსენებელმა განმარტა ტრანსპორტის საკითხთან დაკავშირებით, რომ ბენეფიციარების ნულოვანი ტარიფზე გადაყვანა ხდება ეტაპობრივად. მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები უფასოდ სარგებლობენ. ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები ყოველწლიურად პრიორიტეტულია და იზრდება პროგრამების დაფინანსება.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ წამოაყენა წინადადება ტრანსპორტის საკითხთან დაკავშირებით შეხვედრის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგინილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე,

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2(ა. გვიანიძე, ვ.
დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აღნიშნა, რომ პროექტის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვისას ავტობუსებისათვის (M3 კატეგორია – 5 ტონაზე მეტი), წყლის მიწოდებისა და წყალარინების საქმიანობის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების მართვის სფეროში და სპორტის დარგში (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 პუნქტებით განსაზღვრული სპორტული ობიექტები (ღია, დახურული დასასახდომი ადგილებით ან მათ გარეშე), რომლებიც გამოიყენება პროფესიონალი ან/და სპორტული ღონისძიებების, შეჯიბრებების ჩასატარებლად, გარდა 93.13 პუნქტით განსაზღვრული ობიექტებისა) გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთის მოქმედების ვადის გაგრძელება 2025 წლის 1 იანვრამდე (სპორტის დარგში შეღვათების დაწესებაზე მომართვა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2022 წლის 23 სექტემბრის #01-01-10/4311 წერილით).

პროექტის მიხედვით „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებაში განხორციელდება ცვლილებები, კერძოდ:

ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვისას ავტობუსებისათვის (M3 კატეგორია – 5 ტონაზე მეტი), მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და

არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთის (0,01 პროცენტი) მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2025 წლის 1 იანვრამდე;

წყლის მიწოდებისა და წყალარინების საქმიანობის სფეროში გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთის (0,01 პროცენტი) მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2025 წლის 1 იანვრამდე;

საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების მართვის სფეროში გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთის (0,01 პროცენტი) მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2025 წლის 1 იანვრამდე.

სპორტის დარგში (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 პუნქტებით განსაზღვრული სპორტული ობიექტები (ღია, დახურული დასასხდომი ადგილებით ან მათ გარეშე), რომლებიც გამოიყენება პროფესიონალი ან/და სპორტული ღონისძიებების, შეჯიბრებების ჩასატარებლად, გარდა 93.13 პუნქტით განსაზღვრული ობიექტებისა) მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და ქონებად საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 0,01 პროცენტს, 2025 წლის 1 იანვრამდე.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ე ვ ს :

საკრებულოს წევრი, ნატალია ძიძიგური მიესალმება მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდას და იმედს იტოვებს, რომ დეცენტრალიზაციის პროცესი წარმატებით განვითარდება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 21(რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ. ცხომე, გ.მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა.გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბერის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით იზრდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები კერძოდ: მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“):

თითოეულ სამორინეს მაგიდაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის ოდენობა განსაზღვრულია კვარტალში 20 000-დან 40 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 განისაზღვრება 40 000 ლარით, ნაცვლად არსებული 24 000 ლარისა.

თითოეულ სათამაშო აპარატზე მოსაკრებლის განაკვეთი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია კვარტალში 2 000-დან 4 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 წლიდან განისაზღვრება 4 000 ლარით, ნაცვლად არსებული 2 600 ლარისა.

თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს საპრიზო ფონდის 10%. არსებული პროექტით ბათუმის ტერიტორიაზე აღნიშნული ოდენობით არის განსაზღვრული მოსაკრებლის განაკვეთი.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე მოსაკრებლის განაკვეთი კანონმდებლობით კვარტალში განსაზღვრულია 250 000 -დან 300 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 წლიდან განისაზღვრება 300 000 ლარით, ნაცვლად არსებული 250 000 ლარისა.

აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე მოსაკრებლის განაკვეთია კვარტალში განსაზღვრული 1500 - დან 20 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 წლიდან განისაზღვრება 20 000 ლარით, ნაცვლად 6000 ლარისა.

თითოეულ კლუბის მაგიდაზე მოსაკრებლის განაკვეთი კვარტალში განსაზღვრულია 4 000-დან 14 000-ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი განისაზღვრა 14 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 6000 ლარისა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ მომხსენებელს მიმართა, რომ გააკეთოს განმარტება ბიუჯეტის პროცენტული მიმართება მოსახლეობისთვის.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტის ზრდის გათვალისწინებით წინა წლების დინამიკას თუ გადახედავთ ორი წელია ბიუჯეტი იზრდება 200 მილიონიდან 290 მილიონამდე.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ხელფასების ზრდას, რაც შეეხება გაიზარდა სამსახურის უფროსების ხელფასი, ვიდრე სპეციალისტების, მან დასვა კითხვა სპეციალისტების მეათე შკალაში გადაყვანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასების 10%-იან ზრდას და საშტატო ნუსხაში მოხელეთა თანამდებობების რამოდენიმე პოზიციაზე რანგირების ზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 1 (ა. გვიანიძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 5. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებასა და აღნიშნა, რომ „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 1 წლისა და არაუმეტეს 10 წლის ვადით.

წინამდებარე ცვლილების მიზანია გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების მაქსიმალური ვადა განისაზღვროს 20 წლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20
არ ესწრებოდა: 1(ა. გვიანიძე)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 19(რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიჯური, ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში, I სართულზე მდებარე N1 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 07 დეკემბრის N7061/02 (N07-1422341202-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2022 წლის 10 ივნისის N30 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. მათ შორის ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.33.22.107) N01/2 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული დაურეგისტრირებელი ბინა N1-ის (ფართი 62.90 კვ.მეტრი) ფაქტობრივი მფლობელის (ლია მჟავანაძე-პ/ნ61004025682) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული კომისიის 2022 წლის 10 ივნისის N22 სარეკომენდაციო გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისა და შემდგომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით, შემდგომში, ამ უძრავი ქონების იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე საკუთრების უფლებით გადასაცემად

აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელდა ზემოხსენებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შემდეგი მონაცემებით: ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.33.22.107) N01/2 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე, არსებული ბინა N1-62,90 კვ.მ ფართით (ს.კ. 05.33.22.107.01.001), ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერიამ უზრუნველყო უძრავი ქონების საჯარო რეესტერში დარეგისტრირება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეესტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 05.33.22.107.01.001). შემდგომში, იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე (ლია მჟავანაძე-პ/ნ 61004025682) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20
არ ესწრებოდა: 1(ა. გვიანიძე)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 20(რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელიმეისალმა დამსწრე-საზოგადოებასდა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური

სარგებლობის საფასურის განსაზღვრა. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით

მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრის დროს გამოყენებული იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა №008054122, 18.11.2022 წ. დასკვნის შესაბამისად მიწის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 83081,0 ლარს. საიჯარო ქირა 5% - 4154,0 ლარი; საბოლოოდ მიწის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 4500,0 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20
არ ესწრებოდა: 1(ა. გვიანიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20(რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 8. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15.15211174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი იმედიანად დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ -1515211174 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემა ხდებოდა შეზღუდული ვადებით (1,2,3 ან 6 თვე), მაშინ

როდესაც „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილება ითვალისწინებს ორ წლამდე ვადით გაცემის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო ხელახალი ნებართვის ან/და ნებართვის გაგრძელების პროცესში (დაინტერესებული პირის მიზეზით) ჩნდებოდა რამდენიმე თვიანი ხანგრძლივი წყვეტილობა, რის შედეგადაც იზრდებოდა არაორგანიზებული მოვაჭრე ობიექტების ოდენობა და ზარალდებოდა ქალაქის იერსახე, შესაბამისად მცირდებოდა შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში.

აქედან გამომდინარე მიზანშეწოლად იქნა მიჩნეული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსება და მომსახურეობის გაწევის ვადა გაგრძელდეს, არაუმეტეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესითა და სხვა მოქმედი აქტებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად წარმართოს მუშაობა.

არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით ასევე შეტანილი უნდა იქნეს ცვლილებები საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის საფასურის გრაფაში, რომელიც მეტ სიცხადესა და გარკვეულობას შეიტანს სავაჭრო ნივთების სახეობათა მიხედვით განთავსებაში. (დანართი თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20
არ ესწრებოდა: 1(ვ. დარჩია)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20(რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 10. „ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N92/94–ში მიღებარე საცხოვრებელ სახლზე ვალერი ალთაბაევის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ვალერი ალთაბაემა თამაში დაიწყო ბათუმის სპორტსკოლაში 1953 წელს. 1959-69 წლებში გამოდიოდა თბილისის “დინამოში”, აგრეთვე თბილისის და საქართველოს ნაკრებ გუნდებში. მფლობელია ოქროს (1968), სამი ვერცხლის (1960, 1961, 1969) და ბრინჯაოს (1965) მედალებისა, ასევე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის (1962) მფლობელი. იყო სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი (1959), “ქალაქების მატჩის” გამარჯვებული (1959), მეორე (1960) და მესამე (1967) პრიზიორი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა გათამაშების ფინალისტი (1969). 1996-2000 წლებში მუშაობდა მწვრთნელად ბათუმში, შექმნა გუნდი, რომელმაც შემდგომში შეადგინა “ბასკოს” ბირთვი. გარდაიცვალა 67 წლის ასაკში.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20
არ ესწრებოდა: 1(ი. თავდგირიძე)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 11. „ქალაქ ბათუმში, გორგილადის ქ. N2–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე პაპულა თალაკვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პაპულა თალაკვაძე იყო ბათუმის კოლორიტი. მის ხუმრობებსა თუ გამონათქვამებს დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალურობა. ის იყო ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნე. სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო აჭარის დამსახურებული ინჟინერი, ჭეშმარიტი ქართველი და ნამდვილი პატრიოტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20
არ ესწრებოდა: 1(ი. თავდგირიძე)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 20(რ.ჯინჭარაძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი -0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი-ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. წინამდებარე დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების ხელფასების 10%-იან ზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა.გვიანიძე, ვ. დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. წინამდებარე პროექტის მიღება ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების

განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობის გაზრდას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაზიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა.გვიანძე, ვ. დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე